სამშაბათი,
11 ნოემბერი
1958 წელი
№ 135 (1305)
გამოცემის მე-15 წელი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

1958 წლის 7 ნოემბერია. დილიდანვე მოსკოვის მშრომლები იკრიბებიან თავიანთ საწარმოებთან და დაწესებულებებთან, რათა მონაწილეობა მიიღონ სადღესასწაულო დემონსტრაციაში.

წითელ მოედანზე და მის ახლომახლო ქუჩებზე და მოედნებზე პარადისათვის ჩამწკრივებული არიან მოსკოვის გარნიზონის ჯარები, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეგანაყოფები, სუვოროველები და ნახიმოველები.

საათის ისრები მაცხოვრის კოშკზე ათს უახლოვდებიან. ივსება ტრიბუნები კრემლის კედლებთან. აქ არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რუსეთის სფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა პროფკავშირების წამყვანი მუშაკები, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური პრემიის ლაურეატები, მოსკოვის საწარმოთა მოწინავე ადამიანები, სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

მოედანზე გაისმის ერთსულოვანი ტაში, როცა მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ტრიბუნაზე ადიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა და მისი თანმხლები პირები.

10 საათია. მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია ავტომობილით გამოდის პარადის მიმღები სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი. მას ხვდება პარადის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო და პატაკს აძლევს. მინისტრი ჩამოუვლის ჯარებს, მიესალმება პარადის მონაწილეებს და ულოცავს მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს.

ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. მარშალი რ. ი. მალინოვსკი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს.

იწყება ჯარის ნაწილების საზეიმო სვლა. ათასხმიანი ორკესტრი მარშს ასრულებს. მისდევენ რა დამკვიდრებულ ტრადიციას, პირველები მოდიან მეთაურთა მაღალკვალიფიციური კადრების უძველესი სამჭედლოს — მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი, ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის ორდენოსანი აკადემიის მსმენელები.

მოედანზე შემოდიან ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის ბატალიონები. უნაკლოა მათი მწყობრი.

მოდიან ორდენოსანი აკადემიების ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო საინჟინრო, ი. ბ. სტალინის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო საინჟინრო, ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელები.

ტაშით ხვდებიან მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საერთოსაჯარისო მეთაურთა სასწავლებლის კოლონას. მოდიან მოსკოვის სასაზღვრო ჯარების სასწავლებლის კურსანტები, მოსკოვისა და ტულის სუვოროვის სასწავლებელთა, ლენინგრადის ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის მოსწავლეები.

მოედანი დაცარიელდა. მაგრამ მაშინვე ისტორიული მუზეუმის შენობის უკან გაისმის გუგუნი და გამოდიან ჯავშანტრანსპორტიორები ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის მექანიზებული დივიზიის მეომრებით. მათ მოჰყვებიან ავტომობილები და ტანკეტები ავიადესანტებით. კანტემიროვის დივიზიის დაწყვილებული საზენიტო თვითმავალი დანადგარები.

პარადი დამთავრდა. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებისთვისაც ყოველდღიურად ზრუნავს კომუნისტური პარტია, ჰყავს საუცხოო კადრები და აქვს თანამედროვე საბრძოლო ტექნიკა. საბჭოთა ხალხს შეუძლია ჰქონდეს ბრძოლებში გამოწრთობილი თავისი არმიის იმედი, იგი შეძლებს დაიცვას სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

ისტორიულ მუზეუმთან, წითელი მოედნის მისადგომებზე უთვალავი წითელი დროშაა. მთელი მოსკოვიდან აქ შეიკრიბნენ დემონსტრანტები. ნოემბრის გრილი ქარი არხევს ალმებს. შორს მოჩანს ახალგაზრდა ხელებით აღმართული აბრეშუმის ალამი: „წინ კომუნიზმისაკენ!“ იწყება ფიზკულტურელთა სვლა.

თითქოს ჰაერი ნათლდება ფანფარების ვერცხლისებრი ხმით, როცა მოედანზე გაიქროლებენ მოტოციკლისტები. მსუბუქი ნაბიჯით მოდის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენების კოლონა. ტრიბუნებზე გაისმის ტაში, როცა გამოჩნდებიან სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ალმებით ფიზკულტურელთა ჯგუფები. ისინი მოგვაგონებენ, რომ ოქტომბრის დროშით ახალ ცხოვრებას აშენებს 950 მილიონი ადამიანი!

მოდიან ავიამოდელისტები, პლანერისტები, პარაშუტისტები. მათი ოცნება ისწრაფვის წინ წარმტაცი საპლანეტთაშორისო მოგზაურობისაკენ. მავზოლეუმს რომ გაუსწორდებიან, ისინი ხელებს აღმართავენ და ცაში აფრინდებიან სხვადასხვა ფერის ვარსკვლავები, კომეტები, ბურთობები, პლანეტების გამოსახულებანი, მაღლა აიჭრება რაკეტა.

აი ახალი საუცხოო სურათი. მავზოლეუმს უახლოვდება ბავშვთა ჯგუფი ყვავილებით. ისინი კიბეზე აირბენენ და ერთი წუთის შემდეგ ტრიბუნაზე ადიან. მათ ალერსით ხვდებიან, საერთო ტაშის გრიალში ნორჩი მოსკოველები ცოცხალი ყვავილების თაიგულებს უძღვნიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, სტუმრებს.

ზეიმით, მუსიკის ჰანგებში მოაქვთ დედაქალაქის წარჩინებულ ადამიანებს მოსკოვის დროშა, რომელსაც ლენინის ორდენი აგვირგვინებს. მოედანზე შემოდის დემონსტრაციის პირველი კოლონა. მოდის მშრომელი მოსკოვი — მეცნიერებისა და ტექნიკის, მრეწველობისა და კულტურის დედაქალაქი. თვითეული მაღლააწეული ალამი, თვითეული დროშა და ტრანსპარანტი ციფრებით მოწმობს შრომით წვას, საბჭოთა ადამიანების ენთუზიაზმს, რომელნიც ქება-დიდებას ასხამენ შრომას.

ასობით წითელ ქსოვილებს აწერია: „ორმოცდამეერთე ოქტომბერი!“ — ახალი მიჯნა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ბრძოლისა და გამარჯვების გზაზე. რომელთაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. მოედანზე გაისმის „ჩვენს პარტიას დიდება, დიდება, დიდება!“ რასაც მრავალჯერ იმეორებენ.

ტრიბუნებიდან კარგად მოჩანს ერთ-ერთ პანოზე გამოსახული დედამიწა და მის ქვეშ გადაშლილი წიგნი. ეს არის მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური მეცნიერების ემბლემა. მოდის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია — მეცნიერები, რომლებმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი საბჭოთა ადამიანის შემოქმედებით გენიას.

თითქოს ადამიანთა ტალღებს აპობსო, ამაყად აღმართულა კოლონების თავზე მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ მაკეტი. ეს არის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების გზაზე. და თუ მაისში წითელ მოედანზე შეიძლებოდა დაგვენახა ერთი საბჭოთა ატომური ელექტროსადგურის გამოსახულება, დღეს მას შეუერთდა მეორე — 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგური.

ჟდანოვის რაიონის კოლონის თავზე ძნელია არ შეამჩნიო ხელოვნურად გაკეთებული გიგანტური ქიმიური კოლბა. იმაში თითქოს წარმოიქმნება სინთეზური მასალების წარმოშობის რთული პროცესი. აქ იბადება ქსოვილი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ყველაფერი ის, რისი მიცემაც ხალხისათვის შეუძლია ქიმიას— სიუხვის მეცნიერებას.

მუსიკითა და სიმღერით მოდიან წითელ მოედანზე დედაქალაქის კუიბიშევის, ლენინგრადის, კიროვის, სვერდლოვის, ფრუნზეს რაიონების კოლონები. ხან აქ, ხან იქ ცაში აფრინდებიან მტრედების გუნდები და სხვადასხვა ფერის ბურთობები. დემონსტრანტთა რიგებში მოჩანან ახალმოსახლეთა კოლონები. ისინი ჯერ არასოდეს ასეთი ბევრნი არა ყოფილან. ფერადი დიაგრამები გვიამბობენ, რომ ორ წელიწადს ჩვენ ქვეყანაში აშენდა 88 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

არ არის დემონსტრანტთა არც ერთი კოლონა, რომელზეც აღმართული არ იყოს პლაკატი მოწოდებით მშვიდობისაკენ. ისინი გარს არტყია დედამიწის უზარმაზარ ფერად მაკეტებს, ისინი ლაპლაპებენ განათებულ კონსტრუქციაზე „ატომი — მშვიდობას“ და მეორდებიან ათასობით ცისფერ პატარა ალმებზე.

ორ საათს გაგრძელდა სადღესასწაულო სვლა წითელ მოედანზე. მან ცხადყო საბჭოთა ადამიანების დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, კომუნისტური პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური წყობილების ძალის წყაროს, ახალი წარმატებების საწინდარს კომუნიზმის მშენებლობაში.

ამ სურათებზე აღბეჭდილია დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია 7 ნოემბერს. პარადისა და დემონსტრაციის ანგარიში იხ. მე-2 გვერდზე.

ფოტო მ. ბორაშვილისა.



სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია თბილისში

საქართველოს დედაქალაქი წარმტაცად მორთული შეეგება დიად დღესასწაულს. ბაღების, პარკების, ხეივნების სიმწვანეში, შემოდგომის ოქროსფერი რომ გადაკვრია, მომხიბვლელად მოჩანს უთვალავი დროშები. პროსპექტები და ქუჩები დამშვენებულია ილუმინაციით, ფერად-ფერადი ელექტრონათურების გირლანდებით, ნაირფერადოვანი ხალიჩებით.

მთავრობის სახლის წინ ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ხ. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე.

ტრიბუნაზე იმყოფებიან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რევოლუციის ვეტერანები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები

ზუსტად 10 საათია. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნიდან ღია ავტომანქანით შემოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი, რომელიც თბილისის გარნიზონის ჯარების პარადს იღებს. მას ეგებება პარადის სარდალი გენერალ-მაიორი ვ. დ. ხუბულური.

არმიის გენერალი გალიცკი ჩამოუვლის ჯარებს, ესალმება მათ და ულოცავს მეომრებს დიდი ოქტომბრის ბრწყინვალე დღესასწაულს. პასუხად გაისმის მძლავრი, მრავალხმიანი „ვაშა“.

ამხ. გალიცკი ადის ცენტრალურ ტრიბუნაზე. იელვა ფანფართა ლითონმა, შეირხა მოოქრული წითელი ალმები. და აი გაისმის სიგნალი:

„ისმინეთ ყველამ!“

საქართველოს სსრ მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამბობს სიტყვას.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი გამარჯვებას უსურვებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს, რის პასუხად კიდით კიდემდე ჰქუხს ჯარისკაცთა „ვაშა“. გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. დიდებულად ულერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდია ცვლის.

იწყება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნას საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებმა. მათი ვაჟკაცური, ნებისყოფიანი სახეები, მძლავრი ტექნიკა იმას მოწმობენ, რომ ჩვენი სახმელეთო და საზღვაო საზღვრები მაგრადაა ჩაკეტილი, რომ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას საიმედო, ძლიერი ხელი იცავს.

დამთავრდა სამხედრო პარადი. მცირეოდენი პაუზა და რუსთაველის პროსპექტზე მოედინება დემონსტრანტთა მრავალფეროვანი ნაკადი.

ტრიბუნას ჩაუარეს თბილისის ყველაზე დიდი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის მშრომელთა კოლონებმა, პირველ რიგებში არიან მუშები — რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები. მოდის უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელოვანი კოლექტივი კოლონებს მოაქვთ ტრანსპარანტები და დიაგრამები, რომლებიც მოწმობენ საოქტომბრო შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებს.

რაიონის დემონსტრანტთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლებს, რომლებმაც საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს.

საწარმოო გამარჯვებათა სასიხარულო ციფრები აღბეჭდილია კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის — თბილისის საწარმოთა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის პლაკატებზე. გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის ქარხანას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

დემონსტრანტებს მაღლა უჭირავთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის პორტრეტები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ყველგან გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას, გაუმარჯოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას, გაუმარჯოს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან მეგობრობას. ათასობით ადამიანი ადიდებს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას— საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა შთამაგონებელსა და ორგანიზატორს. მშრომელთა კოლონების თავზე ირხევიან პლაკატები, რომლებზეც გამოსახულია სიტყვა — „მშვიდობა“. საბჭოთა ადამიანებს მგზნებარედ სურთ მშვიდობა და სძულთ ომი. — მსოფლიოს ხალხებო! — აღნიშნულია ტრანსპარანტებზე,— იბრძოლეთ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის.

კოლონების გაფორმება საუცხოო მოთხრობაა საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობისა და პატრიოტიზმის შესახებ. უამრავი პლაკატი, პანოები, დიაგრამები, მაკეტები მოგვითხრობენ, თუ რა გააკეთა ათასობით ადამიანმა, რათა აღენიშნა ოქტომბრის ბრწყინვალე წლისთავი, რაზე მუშაობენ ისინი ახლა, რათა ღირსეულად აღნიშნონ კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა.

დემონსტრანტთა შორის ხედავთ მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებს. ტრიბუნებზე მყოფნი გულთბილად მიესალმებიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა კავშირების კოლექტივებს, თბილისის თეატრების, კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და სხვა დაწესებულებათა მუშაკებს.

დაუვიწყარ სანახაობას წარმოადგენდა მოსწავლეთა, სტუდენტთა, ფიზკულტურელთა მწყობრი რიგების ხალისიანი სვლა. ეს იყო მხნე, ენერგიული ახალგაზრდობა. კომუნისტურმა პარტიამ ფრთები შეასხა მას კეთილშობილური მიზნებით, დიადი იდეებით შთააგონა დიდი საქმენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

სადღესასწაულო დემონსტრაცია კომუნისტური პარტიისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი მშრომელთა უსაზღვრო ერთგულების ახალი მკაფიო დადასტურება იყო.

ფეხბურთის მოედნებზე

ვინ გადავა „ა“ კლასში

◆

გუნდი იხსნა ბოლო წუთმა

გრძელდება მატჩები ფეხბურთში „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის. 8 ნოემბერს რუსთავის სტადიონზე თამაშობდნენ სვერდლოვსკისა და ლვოვის არმიელთა გუნდები.

მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო სვერდლოვსკელთა უპირატესობა, მაგრამ მათი მრავალრიცხოვანი იერიშებიდან შედეგიანი გამოდგა მხოლოდ ერთი. ეს ანგარიში — 1:0 უცვლელი იყო მატჩის ბოლო წუთამდე, მაგრამ როცა საფინალო სასტვენს აკლდა 40 წამი და სვერდლოვსკის გუნდის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, ლვოველებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

◆

მეზღვაურები კარგავენ ქულას

ოდესის სკვო-სა და სევასტოპოლის სკჩფ-ს შეხვედრაში რაიმე პროგნოზის გაკეთება თამაშის დასაწყისში საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენდა. ოდესელები ძლიერად თამაშობდნენ მინდვრის შუაგულში, მაგრამ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში შესვლისას თავდამსხმელები პასიურობას იჩენდნენ და კარგავდნენ ბურთებს ფიზიკურად ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, ხოლო მეზღვაურები უფრო მწვავედ და სახიფათოდ სწორედ საჯარიმო მოედანზე მოქმედებდნენ.

ანგარიში გაიხსნა სევასტოპოლის გუნდის მარჯვენა შუამარბის ბუცკის დარტყმის შედეგად — 1:0. ეს გოლი გაქვითულ იქნა მეორე ტაიმში კორნილოვის მიერ. დარჩენილ დროში მეზღვაურებს ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ თავდამსხმელები ხელსაყრელი მდგომარეობიდან აცილებდნენ მიზანს. საბოლოოდ ოდესელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება — 1:1.

◆

როსტოველები ძლიერად თამაშობენ

9 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ როსტოვისა და ხაბაროვსკის გუნდები. ამ მატჩში როსტოველებმა აჩვენეს სავსებით კვალიფიციური, მაღალტექნიკური თამაში. გუნდის ყოველი ხაზი დაკომპლექტებულია ძლიერი ფეხბურთელებით, თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსალევი, პავლოვი, ვოლჩენკოვი, ხოლო დაცვაში — ბოჩაროვი.

მაგრამ როსტოვის არმიელთა ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა დიდ ხანს უშედეგოდ რჩებოდა, ვინაიდან მათი მოწინააღმდეგე — ესაა ფიზიკურად ჩინებულად მომზადებული კოლექტივი, რომელიც თამაშობს დიდი ფიზიკური დატვირთვით. როსტოველებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს მრავალრიცხოვანი შეტევების რეალიზაცია და მოიგეს მატჩი ანგარიშით 3:1. აღსანიშნავია, რომ სამივე ბურთი გაიტანა მარცხენა გარემარბმა მოსალევმა.

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სევასტოპოლი	2	1	1	0	5:3	3
როსტოვი	1	1	0	0	3:1	2
ხაბაროვსკი	2	1	0	1	3:4	2
სვერდლოვსკი	1	0	1	0	1:1	1
ოდესა	2	0	1	1	2:3	1
ლვოვი	2	0	1	1	3:5	1

„სპარტაკი“ ჩემპიონია

სსრ კავშირის 1958 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მატჩი — გადათამაშება მოსკოვის „სპარტაკსა“ და კიევის „დინამოს“ შორის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საკითხი. მატჩის მოგების შემთხვევაში „სპარტაკი“ უკონკურენტოდ გადიოდა პირველ ადგილზე, ხოლო თუ სპარტაკელები დამარცხდებოდნენ, ჩემპიონის წოდებას იმსახურებდა მოსკოვის „დინამო“. თამაშის ფრედ დამთავრებისას „სპარტაკი“ და „დინამო“ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს დამატებით მატჩში.

8 ნოემბერს მოსკოვში შედგა დარჩენილი შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. სპარტაკელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 3:2 და მოიპოვეს საბჭოთა კავშირის 1958 წლის ჩემპიონის წოდება.

მატჩის შემდეგ „სპარტაკს“ გადაეცა სპეციალური პრიზი „ა“ კლასში ყველაზე მეტი გატანილი ბურთებისათვის, ხოლო გუნდის მარცხენა გარემარბი ა. ილინი დაჯილდოებულ იქნა პრიზით, როგორც ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი.

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გათამაშება

◆

თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით

დაიწყო რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების ტურნირი ფეხბურთში, რომელიც მიძღვნილია სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი. გათამაშების გახსნა წილად ხვდათ თბილისის გუნდებს — „დინამოსა“ და სკვო-ს.

თუ ვილაპარაკებთ „დინამოს“ მონაწილეობაზე ტურნირში, პირველ ყოვლისა, მისი დანიშნულება ის, რომ „ბ“ კლასის კოლექტივებმა და საქართველოს პირველობაში მონაწილე საუკეთესო გუნდებმა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში აიმაღლონ კლასი, ისწავლონ მათგან, გადმოიღონ გამოცდილება.

მართალია, დინამოელებს აკლდათ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, მაგრამ იმ შემადგენლობას, რომელიც მინდორზე იყო (კვაჭაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა; კოტრიკაძე, რამიშვილი; დალაქიანი, ხუნდაძე, მელაშვილი, ლეჟავა, მესხი), არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ასეთი სუსტი თამაში.

არმიელთა გუნდმა ენერგიულად და მონდომებით ითამაშა, გამოიყენა მოწინააღმდეგის სისუსტეები (ასეთები მრავლად იყო) და დამსახურებულად მოიგო კიდეც შეხვედრა. ბურთი მეორე ტაიმში იქნა გატანილი 11-მეტრიანი საჯარიმოდან გორეშნევის მიერ.

სურათზე: ხაბაროვსკისა და როსტოვის არმიელთა თამაშის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლელო

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჯილდო მოიპოვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა

საკავშირო კროსი

მეორე ეტაპზე

თბილისი იმ დღეებში საოქტომბრო ზეიმისათვის ემზადებოდა, ხოლო „ბურევესტნიკის“ სტადიონი — ნოემბრის პირველი მასობრივი საკავშირო ღონისძიების — კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საშემოდგომო კროსის ჩასატარებლად. იქ, სადაც სულ მცირე ხნის წინათ თბილისელი სპორტის მოყვარულები საერთაშორისო მოტობოლის მოწმენი იყვნენ, ახლა სტარტზე გამოვიდნენ მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე ქ. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსნები. კროსის ბევრი მონაწილე ორიოდე დღის წინათ მძლეოსანთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე გამოდიოდა „დინამოს“ სტადიონზე და ასე თუ ისე უკვე მიღებული ჰქონდა პირველი თბილისური ნათლობა, ნაწილი კი სწორედ ამ ღონისძიებისათვის იყო ჩამოსული ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

ეს იყო მასობრივი კომკავშირულ-პროფკავშირული საკავშირო კროსის მეორე ეტაპი. პირველ ეტაპზე — საგაზაფხულო კროსში, ჩვენს ქვეყანაში უძლიერესის სახელი და ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზი მოიპოვეს უკრაინელებმა, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში მხოლოდ უკანასკნელ გარბენში მოპოვებული უპირატესობით გადაასწრეს უახლოეს კონკურენტებს მოსკოვისა და რსფსრ-ს კოლექტივებს.

ახლახან დამთავრებულ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე რსფსრ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს გუნდური პირველი ადგილი და, სავსებით ბუნებრივია, არ უნდოდათ კროსში დამარცხებით ჩრდილი მიეყენებინათ ამ შესანიშნავი წარმატებისათვის. მით უმეტეს, საშემოდგომო კროსში ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზის გარდა საერთო გუნდური პირველობისათვის დაწესებული იყო კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო პრიზი ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. სწორედ ამან განაპირობა შეჯიბრების სიმწვავე ყველა დისტანციაზე.

პირველად სტარტი მიეცა მოზარდ კროსმენებს.

◆

ლ. გერიკას ახალი გამარჯვება

გოგონათა დისტანცია 500 მეტრს უდრიდა. შეჯიბრებაში მონაწილე [illegible] სპორტსმენი მსაჯთა კოლეგიამ 8 ჯგუფად დაჰყო.

გოგონები ყველა გარბენში თავგამოდებით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, გაბედულად სძლევდნენ დაბრკოლებებს. ხშირი იყო დაცემის შემთხვევები, მაგრამ მძლეოსნები არ თმობდნენ ბრძოლას. ასე მოუვიდა მე-6 გარბენში რსფსრ-ს გუნდის წევრს ლ. კონოვალოვას, რომელიც ყველაზე წინ იყო, მაგრამ, როცა ფინიშამდე დარჩა 70 მეტრი, საკმაოდ მძიმედ დაეცა. გოგონას გაუჭირდა წამოდგომა, მაგრამ გუნდის ინტერესებისათვის მაინც შეძლო დისტანციის დამთავრება.

ყველაზე საინტერესო მე-8 გარბენი გამოდგა, სადაც გამოდიოდა მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში ლატვიის ქ. ლეპაიას მოსწავლე 17 წლის ლ. გერიკა, ლიტველი ირენა პატამსიტე, რსფსრ-ს გუნდის წევრი ნინო ავდეევა და სხვანი. ლ. გერიკამ ცუდად აიღო სტარტი, მაგრამ შემდგომში თანდათან უკან ჩამოიტოვა კონკურენტები და ყველაზე კარგი შედეგით — 1.21,4 პირველი ადგილი მოიპოვა, ეს იყო მისი მეორე საპატიო გამარჯვება თბილისში.

საქართველოს გუნდის 5 წევრიდან ამ დისტანციაზე ყველას აჯობა გორელმა მოსწავლემ ნ. მუხურაძემ, რომელმაც გამარჯვებულთან 8,6 წამით წააგო.

◆

გოგონები ჭაბუკებმა შეცვალეს

სტარტმა სტადიონის ცენტრალური ტრიბუნების წინ გადაინაცვლა. დისტანცია უკვე 1.000 მეტრამდე გაიზარდა. გაიზარდა გარბენებში მონაწილეთა რიცხვიც. რადგან 85 სპორტსმენს ხუთ გარბენში უნდა დაემთავრებინა შეჯიბრება. აქ ცალკეულ გარბენებში უძლიერესები იყვნენ ო. ოლეინიკი (უკრაინა) — 2.42,6, ა. გენჩიანი (სომხეთი) — 2.48.4, მ. ტუმენასი (ლიტვა) — 2.43.0, ლ. იოფე (ლენინგრადი) — 2.41.0. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა, ვინაიდან პირველობის უდაო პრეტენდენტები ბოლო გარბენში მონაწილეობდნენ. აქ რსფსრ-ს გუნდის წევრმა რ. მიტროფანოვმა მანძილის გავლას მოანდომა 2.38,2 და უძლიერესის სახელი დაიმსახურა. მასთან ბრძოლაში მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს მისმა თანაგუნდელმა ა. რუსანოვმა და ე. მარტინოვიჩმა (უკრაინა).

როცა ჭაბუკები დისტანციას ამთავრებდნენ, სტარტის ხაზზე გამწკრივდა ქალთა 2-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი გარბენის 21 მონაწილე (სულ ამ დისტანციაზე შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 126-მა სპორტსმენმა).

პირველივე სტარტიდან ერთმანეთს ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ ლ. ლოვცოვა (რსფსრ), კ. ხმელი (ბელორუსია) და ლატვიელი ვ. იარუტე. სპორტსმენებს საკმაოდ რთული პროფილის დაძლევა უხდებოდათ. 400 მეტრის გავლის შემდეგ იწყებოდა აღმართი, რის შემდეგ — ბორცვი. როცა დისტანციის ნახევარი უკან დარჩა, მოწინააღმდეგეებს მოულოდნელად გაექცა ლოვცოვა. მან თანდათან ჩამოიტოვა ხმელი და პირველმა დაამთავრა მანძილი — 7.48,2. თუმცა ლოვცოვამ თავის გარბენში პირველი ადგილი მოიპოვა, მისი შედეგი იმდენად ცუდი აღმოჩნდა, რომ შედეგების შეჯამების შემდეგ იგი უძლიერესთა ათეულშიც კი ვერ მოხვდა. რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრს გ. კოკორინას, მან ამ გარბენში დაიკავა მხოლოდ მე-17 ადგილი.

მეორე გარბენში კოკორინასთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლით დაამთავრა დისტანცია საქართველოს გუნდის მეორე წარმომადგენელმა გ. ლიპარტელიანმა (მე-12 ადგილი).

შემდეგ გარბენებში გამარჯვებულები თანდათან აუმჯობესებდნენ შედეგებს. მოსკოვის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტმა კომკავშირელმა ნ. მნიხმა მე-3 გარბენი მოიგო შედეგით — 7.27,2, ხოლო აზერბაიჯანელმა მოსწავლემ ა. ოჰანესიანმა მე-4 გარბენში ეს მაჩვენებელი 1,2 წამით გააუმჯობესა, ეს დრო კარგა ხანს საუკეთესო შედეგად ითვლებოდა. მარცხით დამთავრდა კალუგელი მუშის ნ. მალახოვას ცდაც.

ბოლო გარბენში მონაწილეობდნენ მრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული ოსტატები და დამსახურებული ოსტატები, გაზეთ „იუმანიტეს“ ტრადიციულ კროსში გამარჯვებული უკრაინელი ლ. იანვარევა, მოსკოველი ნ. ოტკალენკო, რსფსრ-ს გუნდის წევრები ვ. მუხანოვა, ვ. ლინოვა და სხვანი.

მსოფლიო რეკორდსმენმა 800 მეტრზე რბენაში, საგაზაფხულო კროსში გამარჯვებულმა ნ. ოტკალენკომ უძლიერესთა გარბენში თავიდანვე მეტად მაღალი ტემპი აიღო და ფინიშთან პირველი იყო — 7.03,2. ვ. მუხანოვამ შედეგით 7.07,2 დაიკავა მეორე ადგილი. ლინოვა მესამეზე დარჩა, ხოლო უკანასკნელ გარბენამდე შეჯიბრების ლიდერი აზერბაიჯანელი ა. ოგანესიანი ერთბაშად მე-11 ადგილზე აღმოჩნდა.

◆

ასე დამარცხდა „იუმანიტეს“ კროსის პრიზიორი

ყველაზე საინტერესო გამოდგა ვაჟთა კროსი 8 კილომეტრზე. მძლეოსნები ქალთა ტრასას ოთხჯერ გადიოდნენ. პირველ გარბენში მონაწილე 22 მძლეოსნიდან საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ქ. აკრბა, ვ. ფომინი და ვ. პოზნარი. სტარტიდანვე წინ წავიდა აკრბა, რომელიც კარგა ხანს ლიდერობდა რბენას, მაგრამ შემდეგ თანდათან დათმო პოზიციები. შემდეგ შეჯიბრება მ[illegible] [illegible]ველ პირველთანრიგოსნან ა. სურინოვსა და ზაპორ[illegible] გ. [illegible]კოვს. გამარჯვება სურინოვს დარჩა.

შემდგომ გარბენებში უძლიერესნი იყვნენ კიეველი სტუდენტი ლ. მიხიკი, სტალინაბადელი სტუდენტი ლ. სამოილოვი და მოსკოველი ი. კარტაშოვი.

მოახლოვდა უძლიერესთა სტარტიც, რომელსაც ფაქტიურად უნდა გამოევლინებინა კროსში გამარჯვებულები. აქ თავი მოუყარეს გაზეთ „იუმანიტეს“ კროსის პრიზიორმა მოსკოველმა პ. ბოლოტნიკოვმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა რბენაში 10 კილომეტრზე, მისმა თანაგუნდელებმა ა. დესიატჩიკოვმა, ვ. პერეპელიცამ, ლენინგრადელებმა ვ. არტენიუკმა და ვ. ევდოკიმოვმა, ესტონელმა ლ. ვირკუსმა, ნ. სერგეევმა საქართველოდან და სხვებმა.

პირველი წრე ყველაზე ადრე ა. არტენიუკმა დაამთავრა — 6.18,0. მართალია, მეორე წრეზე მან ეს შედეგი 18 წამით გააუარესა, ხოლო მესამე წრის გავლას 6.43 წუთი მოანდომა, კონკურენტთაგან მაინც ვერავინ შეძლო წამოწეოდა მას, თუმცა დესიატჩიკოვმა, რეპინმა და ბოლოტნიკოვმა არაერთხელ სცადეს „დაეჭირათ“ წინ წასული.

ლესგაფტის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა 23 წლის სპორტსმენმა არტენიუკმა მოიპოვა ჩემპიონობა შედეგით — 26.14,6, რაც 15 წამით უმჯობესია მეორე ადგილზე გამოსულ დესიატჩიკოვის შედეგზე. ბოლოტნიკოვი დამარცხდა და სამეულშიც ვერ მოხვდა.

შეჯიბრება დამთავრდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ მოიპოვეს ჩემპიონობა, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზი და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ჯილდო.

ო. ბელაშვილი

* * *

ტექნიკური შედეგები: **გოგონები 500 მ** — ლ. გერიკა (ლატვია)—1.21,4. ნ. ავდეევა (რსფსრ) — 1.22,1; ი. პატამსიტე (ლიტვა)— 1.22,2. **ჭაბუკები 1.000 მ**—ს. მიტროფანოვი — 2.38,2; ა. რუსაკი (ორივე რსფსრ) — 2.40,1; ე. მარტინოვიჩი (უკრაინა) — 2.40,8. **ქალები 2.000 მ.** — ნ. ოტკალენკო (მოსკოვი) — 7.03,2, ვ. მუხანოვა —7.07,2, ვ. ლინოვა (ორივე რსფსრ) — 7.08,9, **ვაჟები 8.000 მ** — ა. არტენიუკი (ლენინგრადი) — 26.14,6; ა. დესიატჩიკოვი (მოსკოვი) — 26.29,4; ხ. პიარნაკივი (ესტონეთი) — 26.37,4.

სურათებზე: ზევით — ვაჟები კროსის სტარტზე. ქვევით— შეჯიბრების მონაწილე ქალები ერთ-ერთი აღმართის დაძლევის დროს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ჟურნალ „პიონერის“ კონკურსი

ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო კომპოზიციის ნორჩმა მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოავლინეს ქართული ჟურნალის „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსისადმი, რომელიც მიეძღვნა თბილისის 1500 წლისთავს.

კონკურსი მოეწყო სამ განყოფილებად: ორ და სამსვლიანი ამოცანებსა და ეტიუდებში. თვითეულ მონაწილეს შეეძლო წარმოედგინა ნაწარმოებთა სასურველი რაოდენობა. ყველაზე მეტი ამოცანა შემოვიდა ორსვლიანების განყოფილებაში— 236. მათგან დაჯილდოვდა მხოლოდ ოთხი.

საგულისხმო წარმატება წილად ხვდა 11 წლის სერგეი გერასიმოვს (სარატოვის ოლქი, ქ. ბალაშოვი), რომლის სამი ამოცანა აღინიშნა I, III ჯილდოებით და საპატიო შეფასებით. ნიჭიერმა შემდგენელმა გამოამჟღავნა საკომპოზიციო მოტივებისა და შედგენის ტექნიკის კარგი ცოდნა. II ჯილდო დაიმსახურა ლიპეცელმა მოსწავლემ გ. გარაგანმა.

სამსვლიან ამოცანებში, რომლის კონკურსში მონაწილეობდა 171 ნაწარმოები, ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა 13 წლის ვ. ბოჩკაროვის (სარატოვის ოლქი ქ. ბალაშოვი) ნაშრომი. II ჯილდო მოიპოვა ი. იაკირევიჩმა (კურსკი), ა. შმოილოვის (ტაგანროგი) ამოცანას მიენიჭა III ჯილდო.

ეტიუდების შედგენა მოითხოვს როგორც შედგენის ტექნიკის დამაკმაყოფილებელ ცოდნას, ისე ჭადრაკის თამაშის მაღალ კვალიფიკაციას. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ კონკურსზე წარმოდგენილი იყო 64 ეტიუდი, თუმცა ეს თავისთავად საკმაოდ დიდი რაოდენობაა.

I ჯილდო მიენიჭა ბათუმელ ე. ფალავას. ეტიუდში მოცემულია მახვილგონიერი შესავალი თამაში, რომლის შემდეგ შავი მეფე თავისი ფეხით მიდის სამათო ქსელში.

II-III ჯილდოები გაიყვეს მ. რუჩკამ (ხმელნიცკის ოლქი, ქ. ლეტიჩევი) და ა. შმოილოვმა. პირველის ეტიუდში თუმცა ცნობილი საპატო ფინალია, მაგრამ გამდიდრებულია მისი შესავალი თამაში. მეორე ნამუშევარში პაიკთა საინტერესო დაბოლოებაა უხვი ეტიუდური მომენტებით.

საპატიო შეფასება მიეცა ს. პივოვაროვს (ხმელნიცკის ოლქი, კრასილოვსკის რაიონი, სოფ. ზასულიჩნაია) ხოლო საქები — ვ. მიროშნიჩენკოს (სამარყანდის ოლქი, აკ-დარინსკის რაიონი, სოფ. ლაიში).

კონკურსმა ცხადყო, რომ პიონერებს აინტერესებთ და კიდეც ესმით საჭადრაკო კომპოზიცია. ბევრი მოსწავლე არა მარტო ერკვევა კომპოზიციის ავკარგიანობაში, არამედ კარგადაც ნახულობს უკვე ცნობილი იდეის განხორციელების ახალ ფორმას.

კონკურსს, რომელიც უდავოდ შეუწყობს ხელს პიონერებს შორის საჭადრაკო კომპოზიციის შემდგომ პოპულარიზაციას, სჯიდნენ ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე და ეტიუდისტი გ. ნადარეიშვილი.

ევროპის ფეხბურთის მოედნებზე

საფრანგეთის ჩემპიონატში ნათამაშევია 13 ტური. ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს „რესინგი“ (პარიზი), ხოლო გასული წლის ჩემპიონი „რეიმსი“ სულ უფრო და უფრო იუარესებს სატურნირო მდგომარეობას. უკანასკნელი მატჩი მან თავის მინდორზე წააგო „ნიცასთან“ (1:2) და დასტოვა ლიდერთა რიგები. „რეიმსის“ მოთამაშეები ეროვნული ნაკრების ბირთვს შეადგენენ (მეკარე კოლონა, ნახევარმცველები პენვერნი და ჟონკე, თავდამსხმელები ფონტენი, ბლიარი, პიანტონი, ვენსანი). პრესა აღნიშნავს, რომ ფრანგების თავდასხმის ლიდერი ფონტენი მეტად ცუდ ფორმაშია.

„რესინგს“ კვალდაკვალ მიჰყვებიან „ნიცა“ და „ნიმი“. მეტად წარუმატებლად თამაშობს 1956-57 წლების ჩემპიონი „სენტ-ეტიენი“, რომლის მწვრთნელმა ჟ. სნელამ ევროპაში პირველად შემოიტანა თამაშის ბრაზილიური სქემა (1-4-2-4).

საფრანგეთის ნაკრების უკანასკნელი მატჩი შედგა პარიზში. ფრანგებმა ვერ შეძლეს მოეგოთ გფრ-ის საფუძვლიანად გადახალისებული ნაკრებისათვის (2:2), რომელთანაც ადრე სისტემატურად აღწევდნენ გამარჯვებას. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ფრანგების თავდასხმა არც თუ ისე საშიშია, როცა არ თამაშობს კოპა.

• • •

ინგლისის პირველ ლიგაში შეხვედრათა დიდი უმრავლესობა მინიმალური ანგარიშით მთავრდება. ჩემპიონატს დიდი ხნის მანძილზე ლიდერობდა რამდენიმე გუნდი და მხოლოდ 13 ტურის შემდეგ შეძლო „ბოლტონ უონდერერსმა“ 2 ქულით გაესწრო „არსენალის“, „ვულვერჰემპტონ უონდერერსისა“ და „ლუტონ ტოვნისათვის“. ქულათა განსხვავება ლიდერსა და აუტსაიდერს შორის მეტად მცირეა (8 ქულა 22 გუნდს შორის).

არანაკლებ საინტერესოა გათამაშება მეორე ლიგის 22 გუნდს შორის. აქ ჯერჯერობით ლიდერია „ფულჰემი“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გუნდში თამაშობს ინგლისის ეროვნული ნაკრების ცნობილი ფორვარდი ჰეინსი. მეორე ლიგაში თამაშობენ ცნობილი კლუბები „კარდიფ-სიტი“, „დერბი-კაუნტი“ და [illegible]ნი. კური[illegible] ამ ლიგაში ბოლო ადგილზეა „სანდერლენდი“, რომელიც სულ სამი წლის წინათ ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს წარმოადგენდა.

• • •

იტალიის ჩემპიონატის მე-5 ტურმა ჩაიარა ლიდერთა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა, გასული წლის ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ სერიოზული დამარცხება — 0:3 განიცადა „რომასაგან“, რომელიც მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად თამაშობს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „რომა“, ისე დედაქალაქის მეორე კლუბი — „ლაციო“ არ მიეკუთვნებიან უძლიერესთა რიცხვს იტალიაში. წელს „რომას“ თავდასხმას ხელმძღვანელობს ბრაზილიელი და კოსტა, ხოლო მარცხენა გარემარბად თამაშობს შვეციის ნაკრების ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი აგნე სიმონსონი.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ „მილანი“ და „ფიორენტინა“ (9.9 ქულა).

ქართული თამაშების კვალი „რუსუდანიანში“

„რუსუდანიანის“ ავტორი სხვადასხვა საგმირო ამბებთან ერთად მოგვითხრობს, თუ როგორი აღზრდა არსებობდა იმდროინდელ საქართველოში და კერძოდ, როგორ იზრდებოდა ძე ხელმწიფისა, სახელად ჯიმშედ.

თხზულების რეალიები მოწმობენ, რომ მეცამეტე საუკუნის საქართველოშიც ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ალსაზრდელს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ შვილდ-ისრის ხმარებას, მიზანში სროლას, ცხენზე ჯდომას, ჯირითს, ნადირობას, ჭადრაკის, განჯაფას, ნარდის და სხვა თამაშსაც. „რუსუდანიანში“ აღნიშნულია: „დაიბადა ვაჟი ციხკრის უნათლესი, ლომის მონაკუეთი, საფალავნოდ შექმნილი ჯიმშედი ძე ხელმწიფისა“, რომელიც, ჭაბუკობას მიღწეული, „ცხენს არბევდა და ყაბახს ესროდა. ნადირს თამამად მოჰკლევდა, ფრინველი არ მოურჩებოდა. ნადირობდის და ნადიმობდის, ბურთობდის და ასპარეზობდის“.

შემდეგ მოთხრობაში გადმოცემულია, თუ როგორ მივიდნენ უფლისწული ჯიმშედი და მისი გამზრდელი — ვაზირი ქერაგი ალმასის ქალაქში. როდესაც ისინი სამეჯლისო დარბაზში შევიდნენ, კედლებზე ნახეს საუცხოო მხატვრობა და იქვე ძვირფას ქვებზე ამოჭრილი: „ლაშქრობა, ნადირობა, ჯირითობა, ყაბახის სროლა იყო ზედ გამოყვანილი და მერმე იმ აშიას ხუთი მხარი განი ჰქონდა, ლამაზგვარად მოფენილი იყო ყუავილით სავსე ველსა გვანდა“.

ალმასის ქალაქში ჯიმშედი და ქერაგი დედოფალს ეახლნენ. ჯიმშედს სურდა სამეფო კარისათვის ეჩვენებინა სხვადასხვა ასპარეზობანი და ამით სახელი დაემსახურებინა. „დღესა ერთსა, — მოთხრობილია თხზულებაში, — ბრძანა ხელმწიფემან ჯიმშედ, ორნივე ჩვენი ზნეობა (ე. ი. ყაბახი და ჩოგბურთი — ვ. ს.) ჟუელა ამათ ვაჩვენოთ და ამათი ჩვენ ვნახოთო, ცხენები კარგი არიო, ბურთი და ჩოგანი მრავალისო და რად არ ვიბურთებთო, თუ არ იციანო ერთი უცხო თამაშიც არის და ნახვენო და თუ იციან მათი ხელმარჯვეობა ვცნათო“.

„რუსუდანიანი“ ალეგორიული ნაწარმოებია. მასში გადმოცემულია მეცამეტე საუკუნის ცხოვრების ამბები, რაც ზღაპრულ გარსშია გახვეული, მაგრამ მასში აშკარად ჩანს თბილისის მდებარეობა. „ქალაქგარეთ არის მინდორი საბურთალოო“ — ნათქვამია ნაწარმოებში. აქ იგულისხმება დღევანდელი საბურთალო, სადაც ასპარეზობა საუკუნეთა მანძილზე ეწყობოდა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იმ დროს, როდესაც ეს ნაწარმოები იწერებოდა, საბურთალო მართლაც სასპარეზო მოედნად ითვლებოდა. ამის შესახებ მოგვითხრობენ არა მარტო ქართული, არამედ უცხოური ისტორიული წყაროებიც. მაგ. იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი, რომელმაც თავის თვალით ნახა საბურთალოზე მოწყობილი ასპარეზობანი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც ირკვევა, სასპარეზო მოედანზე ჩოგანბურთი და ყაბახი მოუწყვიათ. იმ ასპარეზობაში ჯიმშედს თავი გამოუჩენია და გამარჯვებაც მოუპოვებია. მაგრამ ჯიმშედს არც ალმასის ქალაქის მობურთალნი ჩამორჩენიან. ავტორი მოხდენილად ხატავს მოედანზე ბურთაობის სურათს. „ხელმწიფემან ბრძანა: კარგის გამძლის ცხენების მოსხმა. ბურთისა და ჩოგნების მოღება. მოასხეს მრავალი ბედაური ცხენები აკაზმული, ოცი მარქაფა ხელმწიფისათვის და სხვა ჯართათვის; სხვა ბურთსა და ჩოგანს ასი მურასა ჩოგანი მოიტანეს. გაუყო ყოველთა მობურთალთა და მივედით მოედანში. სულ ფერად-ფერადის ფიქლით იყო მოწყობილი, ვერცხლით მოკირწყლული და მოწყობილი, ყაბახი უცხოდ მაღალი იყო და ერთი კარგი ასეთი ოქროს ტაბაკი ედგა ზედა მურასად გაკეთებული რომ კაცსა შეეხედა ასე ეგონებოდა ცეცხლი ეკიდებაო. დავიწყეთ ბურთაობა და ჯიმშედის ბურთაობას ვინ შეედრებოდა! მაგრამ უკეთ ბურთაობა და ანუ სადავის ხმარება და ხერხიანობა არას კაცისაგან არ მინახავს, რომ იქაურნი კაცნი ბურთობდნენ“.

„რუსუდანიანი“ ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელმაც ქართული თამაშების ჩოგანბურთისა და ყაბახის აღწერა შემოუნახა. მასში დაცულია ძვირფასი ცნობაც იმის შესახებ, რომ ქართველები ბურთის და ყაბახის თამაშის სურათებს სასახლეების დარბაზებისა და პალატების კედლებზე საგანგებოდ ხატავდნენ.

ვ. სიდამონიძე

თბილისელ კალათბურთელთა ორი გამარჯვება

5 ნოემბერს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ კურგანაში, თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ქალთა გუნდი შეხვდა „სკენბერვეგის“ კოლექტივს და დაამარცხა იგი ანგარიშით 65:34.

ორი დღის შემდეგ ქართველმა სპორტსმენებმა ჩაატარეს უკანასკნელი მატჩი. ამჯერად ისინი შეხვდნენ რესპუბლიკის ნაკრებს. თამაში მოიგო „ბურევესტნიკმა“ — 71:32.

◆

„ნორჩი ლენინელის“ თასზე

ამას წინათ გეგეჭკორის პიონერთა რაიონულმა საბჭომ მოაწყო პირველობა მძლეოსნობაში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ თასზე, რომელშიც მონაწილეობდა 35 პიონერი.

ზანძელმა პიონერებმა 1.095 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს, 902 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ სერგიეთელი პიონერები.

გ. ლაფანაშვილი

13:7

როსტოვისა და თბილისის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები უკანასკნელ წლებში სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს. მორიგი მატჩი შედგა როსტოვში 5–7 ნოემბერს. ამჯერად გუნდების შემადგენლობაში შედიოდა 7 ვაჟი და 3 ქალი. მატჩი მიმდინარეობდა ორ წრედ.

ორივე წრე აღინიშნა როსტოველთა უპირატესობით. მოგვყავს მატჩის ტექნიკური ანგარიში: გურგენიძე–შამკოვიჩი — 0:2, შოშოვი-ოსტატი ჟილინი — 1,5:0,5, კასპარიანი-ოსტატობის კანდიდატი კნიშენკო — 1:1, კიკიანი–ოსტატობის კანდიდატი ხოხლოვკინი— 1:1, მაჭავარიანი-ოსტატობის კანდიდატი ლადიჟენსკი — 0,5:1,5, იზვოზჩიკოვი-ოსტატობის კანდიდატი პიმენოვი — 0,5:1,5, ტოგონიძე–საერთაშორისო ოსტატი გურგენიძე—?

ამგვარად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 13:7 (7:3, 6:4) როსტოველთა სასარგებლოდ.

რედაქტორი ი. უგულავა.

20-25
ნოემბერი
კალათბურთი
საქართველოს 1958 წლის
პირველობა „ა“ კლასის
გუნდებისათვის

✦

მატჩები ჩატარდება ვ. ი.
ლენინის სახელობის
დარბაზში
დასაწყისი 12 საათზე

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბი იუწყება მთამსვლელ გიორგი (გიგი) ვახტანგის-ძე აბაშიძის გარდაცვალებას.

12-17
ნოემბერი

საქართველოს 1958 წლის პირველობა
„ა“ კლასის გუნდებისათვის

12-17
ნოემბერი

ფ რ ე ნ ბ უ რ თ ი

მატჩები ჩატარდება ვ. ი.
ლენინის სახელობის
დარბაზში
დასაწყისი 12 საათზე

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 07213